საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №...1/207..... "..18...." ...სექტემბერი..... 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2019 წლის 25 ივლისის №06-7173 და 14 აგვისტოს №06-7767 წერილებით მომართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობა საქართველოს პროკურატურის მიერ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით მიღების თაობაზე.

გურჯაანის რაიონული სასამართლო განთავსებულია ქ. გურჯაანში, სანაპიროს ქუჩა №24-ში (ს/კ 51.01.60.191). აღნიშნული შენობის ნაწილი, კერძოდ, შენობა-ნაგებობა №1-დან 302,3 კვ.მ ფართი, შენობა-ნაგებობა №3-დან 28,4 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი, სარგებლობის უფლებით ეკუთვნის საქართველოს პროკურატურას, რომელმაც აღნიშნული ქონება დროებით, 2019 წლის 14 აგვისტომდე გადასცა საერთო სასამართლოების დეპარტამენტს. დღეის მდგომარეობით ზემოაღნიშნულ ფართში სრული დატვირთვით ფუნქციონირებს გურჯაანის რაიონული სასამართლო. არსებული რეალობის გათვალისწინებით, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია აღნიშნული ქონება დარჩეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში, არსებობის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში გადმოსაცემად, არსებობის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი